ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7593995

ნომერი: AR11103760

თარიღი : 08.08.2025

გაცემის თარიღი : 15.08.2025

გაცნობის თარიღი : 15.08.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა, N 1ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა გედენიძე პ/ნ 01019067369
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა, N 5, ბინა 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ფოტოსურათებზე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომების მითითებით.

2. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის დატანით.

3. ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფოტომონტაჟზე დასახელება დაიტანეთ სახელმწიფო ენაზეც.

4. საჭიროა, წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი მასალებისა და დეტალური გაბარიტული ზომების მითითებით. ასევე წარმოდგენილ იქნას სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა, აღნიშნული ანგარიში დატანეთ ფოტომონტაჟზე.
გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.

5. მშენებლობის შეტყობინებისას განმცხადებელს წარმოადგენს შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს შეტყობინებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ინტერესი. წარმოდგენილი იქნას საპროექტო ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და განმცხადებლის უფლებამოსილების დამდასტურებელი დოკუმენტაცია - მესაკუთრის(მოსარგებლის) მიერ გაცემული მინდობილობა ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხოლო, თუ სამუშაოები ხორციელდება საერთო საკუთრების ფართზე - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა - კრების ოქმი შედგენილი "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.